**მომხმარებლის სახელმძღვანელო**

**ფისკალური პრინტერი FX 1300**

- **ავტონომიურ რეჟიმში გადასვლა**
  (პერსონალური კომპიუტერით მართვის გარეშე)

ავტონომიურ რეჟიმში მუშაობისთვის ფისკალურ პრინტერს აქვს 3 ფუნქციური ღილაკი F C M. რეჟიმში გადასასვლელად ON/OFF გადამრთველი ღილაკის მეშვეობით ჩართეთ ფისკალური პრინტერი. მოხდება მოკლე ხმოვანი სიგნალის გამოცემა და წითელი დიოდი დაიწყებს ციმციმს 3-4 წამის განმავლობაში. დიოდის ციმციმის დროს დააჭირეთ რომელიმე ღილაკს (F C M), ხანგრძლივი ხმოვანი სიგნალის შემდეგ ამოიბეჭდება ქვითარი წარწერით „ავტონომიური რეჟიმი“.

- **ღილაკების განმარტება**

| ღილაკი | ქვერეჟიმი | ღილაკი | ფუნქცია | აღწერა |
|---|---|---|---|---|
| F | ანგარიშები | C | X-ანგარიში | იბეჭდება X - ანგარიში. |
| | | F | Z - ანგარიში | იბეჭდება Z - ანგარიში. |
| | | M | სე-ის ანგარიში | იბეჭდება საქონლის ანგარიში |
| M | ფმ (ფისკ. მეხს.) | C | მოკლე | იბეჭდება ფმ-ის მოკლე ანგარიში მთელი პერიოდისათვის (მხოლოდ ფისკალიზებული ფპ-ის შემთხვევაში). |
| | | M | ფმ-ის ტესტი | ფმ-ის სტატუსის დაბრუნება (აუცილებლად უნდა იყოს "FM OK"). ამ ტესტის შემდეგ, მთავარ მენიუში დაბრუნება ხდება ერთ-ერთ შემდეგ ღილაკზე დაჭერით"F", "C" ან M". |
| C | ტესტები | C | ეკრანი | ეს ტესტი ამოწმებს, კოდების ცხრილში არსებული ყველა ნიშნის გამოსახვის სისწორეს. ეკრანის შეცვლა ხდება მთავარ მენიუში დასაბრუნებლად "C" ღილაკზე დაჭერით. |
| | | F | დიაგნოსტ. | იბეჭდება დიაგნოსტიკის ინფორმაციის შემცველი ქვითარი . |
| | | M | ASCII | ASCII-ის ცხრილი |

- **გადატვირთვის ინსტრუქცია**

გადამრთველ ღილაკ ON/OFF-ის მეშვეობით გამორთეთ და ჩართეთ ფისკალური პრინტერი, ჩართვისას გამოსცემს ხმოვან სიგნალს, დააჭირეთ ღილაკს C და შემდეგ ღილაკს M. კვლავ გამორთეთ და ჩართეთ პრინტერი ზემოთნახსენები ინსტრუქციით. ჩართვის შემდეგ აინთება მწვანე ნათურა, რაც ნიშნავს რომ აპარატი წარმატებით გადაიტვირთა.

- **რა არის ფისკალური პრინტერი?**

ფისკალური პრინტერი არის სალარო კომპიუტერული სისტემის გარე მოწყობილობა ფისკალური მეხსიერებით, რომელიც ფუნქციონირებს გარე პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობების თანმხლებთან ერთად. POS სისტემა/პერსონალური კომპიუტერი აწვდის

სპეციალურ ბრძანებას/ბრძანებებს სასურველი კონფიგურაციით დაპროგრამებისთვის სალარო ოპერაციების განსახორციელებლად, ქვითრების ფორმულირებისთვის, სალარო რეჟიმისთვის, ან ანგარიშების ამოსაღებად. ფისკალურ პრინტერს შეუძლია დაბეჭდოს რესტორნის მენიუ, ან საქონლის დასახელება ქართულ ენაზე.

- **ფისკალური პრინტერის პორტების განმარტება**

ფისკალურ პრინტერს უერთდება:

1) USB პორტი
2) ფულის ყუთი
3) RS232 COM პორტი
4) გარე კვების ბლოკი
5) მომხმარებლის ეკრანი

